საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №75/2016
2016 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ცესკოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ ცესკოს 2015 წლის 12 დეკემბრის №68/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ” მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ცესკოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ ცესკოს 2015 წლის 12 დეკემბრის №68/2015 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 14/12/2015, 010220020.15.008.016232) დამტკიცებული დანართის გრაფა „1. თანაშემწეები, მრჩეველი და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

„1. თანაშემწეები, მრჩეველი და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტი		
1	თავმჯდომარის მრჩეველი	არ არის სავალდებულო
2	თავმჯდომარის თანაშემწე	არ არის სავალდებულო
3	მოადგილის თანაშემწე	არ არის სავალდებულო
4	მდივნის თანაშემწე	არ არის სავალდებულო
5	ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი	არ არის სავალდებულო
6	ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტი	არ არის სავალდებულო

“.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი იანვრიდან.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**